საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მთვარის პოლარიმეტრიული ატლასი

მთვარის პოლარიმეტრიული ატლასი, თემატური ატლასი, ასტრონომიული თემატური რუკების კრებული, რ-იც შედგენილია საქართველოში, აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში. ატლასში დედამიწიდან დანახული მთვარის 21 სხვადასხვა ფაზის ამსახველი რუკაა (მასშტაბი 1:15 000 000). რუკები შეადგინა კარტოგრაფმა მ. ხაბაზიშვილმა ასტრო¬ნო¬მების ვ. ჯაფიაშვილისა და ა. კოროლის მონაცემების მიხედვით (გამოიცა 1982). გამოყენებულია პოლარიმეტრიული კარტოგრაფირების მეთოდი და პერსპექტიული ორთოგრაფიული პროექცია. ატლასი, როგორც მნიშვნელოვანი ნაშრომი ასტრონომიულ თემატურ კარტოგრაფიაში, 1984 დაჯილდოვდა ასტრონომ ფ. ბრედიხინის პრემიით.

გ. ლიპარტელიანი